მ. კაციტაძე

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## საჩხერის რაიონის გამგებლის
## განკარგულება

№ 58

2005 წლის „4" ივლისი

**საჩხერის რაიონის გამგეობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ**

საჩხერის რაიონის გამგეობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ფუნქციის შესრულება დაევალოს მაკა კაციტაძეს.
2. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის თანდართული სამსახურეობრივი ინსტრუქცია.
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ /მ. კაციტაძე/ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურეობრივი ინსტრუქციით.
4. აღინიშნოს, რომ "ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის N 95 ბრძანებულების მე-9 მუხლის "ე" პუნქტის შესაბამისად, საჩხერის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურის ტელეფონი.
5. განკარგულება ამოქმედდეს 2005 წლის 1 აგვისტოდან.

საჩხერის რაიონის გამგებელი— ზ. ცერცვაძე

საჩხერის რაიონის გამგებლის 2005 წლის 4 ივლისის N 58 დადგენილების დანართი

## საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს დაწესებულების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის /შემდგომში "კოდექსის"/ მოთხოვნის შესაბამისად დანიშნული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის /შემდგომში "პასუხისმგებელი პირი"/ უფლება-მოვალეობებს.

2. საჯარო ინფორმაცია, ანუ დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ოფიციალური დოკუმენტი /მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, ღიაა და ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას ან არ არის დაცული აღმასრულებელი პრივილეგიით.

### მუხლი 2. საჯარო რეესტრი

1. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს კანცელარიის თანამშრომელთა მიერ დაწესებულებაში არსებული ყველა საჯარო ინფორმაციის აღრიცხვას საჯარო რეესტრში მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში. საჭიროა რეესტრში მითითებულ იქნას საჯარო ინფორმაციის დასახელება, მიღების, შექმნის, დამუშავების ან გამოცემის თარიღი და იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, ან საჯარო დაწესებულების დასახელება, რომლისგანაც შევიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

2. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მუშაობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს მმართველობის ორგანოს ფუნქციების, სტრუქტურის, პროგრამების, პასუხისმგებელი პირების სახელების და მათი სამსახურებრივი საკონტაქტო ინფორმაციის გამოკვრას თვალსაჩინო ადგილზე და განახლებას ცვლილებების შემთხვევაში.

3. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს შემდეგი სახის ინფორმაციის აღრიცხვას საჯარო რეესტრში: